



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



ბრძანება:ბ49.49222201

თარიღი:08/08/2022

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ბიუროს რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-20 მუხლის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2022 წლის 9 აგვისტოს, 11:00 საათზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გელა ბურჯალიანის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

/მომხსენებელი მაკა ჭელიძე/

2. „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტყაჩირში მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობის (საკ.კოდი N29.17.35.013.) პირველ სართულზე განთავსებული 18.48 კვ.მ. ფართის აუქციონის წესით, იჯარის უფლებით, 5 (ხუთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის # გ-49.492221014 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი რევაზი დიდავა/

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

